**სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო**

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

21 მარტი 2024

N 21/2872

**შპს „დაგი +"-ის დირექტორს**
**ბატონ გიგა ფალიანს**
**მის:** ქ. ქუთაისი, წერეთლის ქ. №192
**ელ. ფოსტა:** giga-paliani@mail.ru

**სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს**

ბატონო გიგა,

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 12 მარტის №2671 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. უწერაში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

- დოკუმენტის თანახმად, ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს მოწყობა დაგეგმილია კომპანიის საკუთრებაში არსებული ბეტონის საწარმოს ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს 88.09.22.011 და 88.09.22.075 საკადასტრო ერთეულებს. თუმცა, თანდართულ shp ფაილებში ასევე წარმოდგენილია დამატებით ერთი მიწის ნაკვეთი (ს/კ: 88.09.22.621). შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად);
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, „უახლოესი დასახლებული პუნქტი მდებარეობს საპროექტო ტერიტორიიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 0,45 კმ მანძილის დაშორებით, უახლოესი საცხოვრებელი სახლი 0,40 კმ მანძილზე (ს/კ: 88.09.23.081)." მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 26 მეტრში მდებარეობს ფ/პ ოთარ მეტრეველის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ: 88.09.22.052), მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულების შესახებ ინფორმაცია და მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე, სიტუაციურ რუკაზე დატანით;
- დოკუმენტში დასაზუსტებელია საპროექტო სალექარისა და წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები;
- ვინაიდან, დაგეგმილი ობიექტის მოწყობა გათვალისწინებულია არსებული ბეტონის საწარმოს ტერიტორიაზე, ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული საწარმოების ერთობლივად ფუნქციონირების პირობებში.

სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო